

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის  
კომისიის სხდომის

ოქმი №4

ქ. აბაშა, 2018 წლის 29 მარტი

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის სხდომის  
ოქმი №4**

**ქ. აბაშა, 2018 წლის 29 მარტი**

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გია კუცია.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

კომისიის წევრები: შოთა ქანტურაია, ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია, ზურაბ შუბლაძე, ლეონტი ნადარეიშვილი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ბენია პიტავა, დავით კაჭარავა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე

**დღის წესრიგი:**

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის #6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. კუცია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების, 2018 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. კუცია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, სსიპ დანიელ თოფურიას სახელობის საჯარო სკოლაზე გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და სტატისტიკის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე -6; წინააღმდეგი - 0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის #6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. საკითხის უკეთ შესასწავლად დადგენილების პროექტი და განმარტებითი ბარათი რეკომენდაციის მიღების მიზნით გადაგზავნილია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში. ვინაიდან, რეკომენდაციის მიღება ვადებთანაა დაკავშირებული და ვერ ესწრება საკითხის სრულყოფილად შესწავლა უახლოეს სხდომამდე, კომისიის წევრებმა მიიღო გადაწყვეტილება (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის #6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არ იქნეს შეტანილი საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

2. აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების, 2018 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების, 2018 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** ზ. გაბელაიამ და შ. ჭანტურაიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

#### **დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების, 2018 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს:

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, სსიპ დანიელ თოფურას სახელობის საჯარო სკოლაზე გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, სსიპ დანიელ თოფურას სახელობის საჯარო სკოლაზე გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

**აზრი გამოთქვას:** ზ. გაბელაიამ, ლ. ნადარეიშვილმა და ე. ნოდამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

#### **დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, სსიპ დანიელ თოფურიას სახელობის საჯარო სკოლაზე გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს:

4. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** ზ. გაბელაიამ, ლ. ნადარეიშვილმა და ზ. შუბლაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

**დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს:

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** ლ. ნადარეიშვილმა და ზ. შუბლაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

**დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს:

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და სტატისტიკის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და სტატისტიკის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** ლ. ნადარეიშვილმა და ზ. შუბლაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

**დაადგინა:**

განკარგულების პროექტი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და სტატისტიკის სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,  
ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუცია